

## თავი 4

### მარაგის მართვა და აღრიცხვა

1. მასალა საწყობიდან საწარმოო განყოფილებებს გადაეცემა:
  - ა. მასალების განაცხადის საფუძველზე;
  - ბ. შესყიდვის განაცხადის საფუძველზე;
  - გ. შემოსავლის ზედღებულის საფუძველზე.
2. ინვენტარიზაციის გარეშე მარაგის ნაშთის შეფასება შესაძლებელია:
  - ა. პერიოდული ინვენტარიზაციის მეთოდის გამოყენებისას;
  - ბ. უწყვეტი ინვენტარიზაციის მეთოდის გამოყენებისას;
  - გ. შესაძლებელია ორივე მეთოდის შემთხვევაში.
3. პერიოდის ბოლოს მარაგის ნაშთის დაკორექტირება ინვენტარიზაციის გზით აუცილებელია:
  - ა. პერიოდული ინვენტარიზაციის მეთოდის გამოყენებისას;
  - ბ. უწყვეტი ინვენტარიზაციის მეთოდის გამოყენებისას;
  - გ. არც ერთი მეთოდისთვის არ არის აუცილებელი.
4. მარაგის გაფუჭების ან დაკარგვის ინფორმაციის ცალკე გამოყოფის შესაძლებლობას იძლევა:
  - ა. პერიოდული ინვენტარიზაციის მეთოდი;
  - ბ. უწყვეტი ინვენტარიზაციის მეთოდი;
  - გ. არც ერთი მეთოდი.
5. რეალიზებული საქონლის ღირებულების გამოსათვლელად 100%-სა და საერთო მოგების ნორმის შორის შემავსებადი რიცხვის გამოყენება ხდება:
  - ა. საერთო მეთოდის ნორმის გამოყენებისას;
  - ბ. პერიოდული ინვენტარიზაციის მეთოდის გამოყენებისას;
  - გ. საცალო მეთოდის გამოყენებისას.
6. მარაგის დანაკარგებს, რომელსაც ნარჩენებს უწოდებენ, შეიძლება გამოწვეული იყოს:
  - ა. ქურდობით;
  - ბ. მასალის მთლიანი მასის დაქუცმაცებით;
  - გ. დაზიანებით.
7. მარაგის დანაკარგების კონტროლის პროცედურებს მიეკუთვნება:
  - ა. შეკვეთისა და შესყიდვის ფუნქციების განცალკევება;
  - ბ. პერიოდული ინვენტარიზაციის მეთოდის შემოღება;
  - გ. მარაგის ნაშთის გადიდება.
8. მარაგის შენახვის დანახარჯები არ მოიცავს:
  - ა. მარაგში დაბანდებულ კაპიტალზე გადასახდელ პროცენტს;
  - ბ. მარაგის დაზღვევის დანახარჯს;
  - გ. მარაგის მყიდველთან გადაზიდვის დანახარჯს.

9. მარაგი, რომელიც ხელს უშლის დეფიციტის წარმოქმნას, არის:
- ა. საშუალო მარაგი;
  - ბ. ბუფერული მარაგი;
  - გ. შესაკვეთი მარაგი.
10. მარაგის დეფიციტის დანახარჯები მოიცავს:
- ა. რეალიზაციის დანახარჯებს;
  - ბ. შენახვის დანახარჯებს;
  - გ. ტრანსპორტირების დანაკარგებს.
11. შეკვეთის დანახარჯები არ მოიცავს მარაგთან დაკავშირებულ:
- ა. ადმინისტრაციულ დანახარჯებს;
  - ბ. მოწოდების დანახარჯებს;
  - გ. საწყობის ფართობის დანახარჯებს.
12. საშუალო მარაგი ტოლია:
- ა. შეკვეთის ეკონომიკური მოცულობის ნახევრის;
  - ბ. წლიური შეკვეთების ნახევრის;
  - გ. მარაგის შენახვის წლიური დანახარჯების ნახევრის.
13. შეკვეთის ეკონომიკური მოცულობის ფორმულაში მარაგის ერთი ერთეულის შენახვის წლიური დანახარჯი გამოსახულია სიმბოლოთი:
- ა. D
  - ბ.  $C_o$
  - გ.  $C_h$
14. თუ კომპანია მიიღებს მარაგის შეკვეთის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობას, მას შეიძლება შედეგად მოყვეს:
- ა. წლიური შეკვეთის დანახარჯის ზრდა;
  - ბ. მარაგის წლიური შენახვის დანახარჯის შემცირება;
  - გ. წლიური შესყიდვის ფასის შემცირება.
15. მარაგის პარტიის ეკონომიკური მოცულობის ფორმულაში სიმბოლო გამოსახავს:
- ა. წლიურ მოთხოვნას;
  - ბ. პარტიის მოცულობას;
  - გ. მარაგის ერთეულის შენახვის წლიურ დანახარჯს.
16. მარაგის რაოდენობა, რომლის შეკვეთაც ხდება, როდესაც მარაგის ღონე მიაღწევს მორიგი შეკვეთის ღონეს, გამოხატავს:
- ა. შეკვეთის წილს;
  - ბ. მორიგი შეკვეთის მოცულობას;
  - გ. მორიგი შეკვეთის დროს.

17. მარაგის მაქსიმალური მოხმარება გამრავლებული მაქსიმალური შეკვეთის ციკლზე, არის:

- ა. მორიგი შეკვეთის ღონე;
- ბ. მორიგი შეკვეთის მოცულობა;
- გ. შეკვეთის ციკლი.

18. მარაგის მორიგი შეკვეთის ღონე  $X$  მორიგი შეკვეთის მოცულობაზე – მინიმალური მოხმარება  $X$  მინიმალურ ციკლზე, არის:

- ა. მარაგის მინიმალური ღონე;
- ბ. მარაგის მაქსიმალური ღონე;
- გ. საშუალო მარაგი.

**ამოცანა 1.**

გეძლევათ საწარმო X-ის მარაგის მოძრაობის შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

		ერთეული	დანახარჯი ლარი	რეალიზაციის ფასი ლარი
საწყისი მარაგი	1 იანვარი	50	7	
შესყიდვები	1 თებერვალი	60	8	
რეალიზაცია	1 მარტი	40		10
შესყიდვები	1 აპრილი	70	9	
რეალიზაცია	1 მაისი	60		12

**გაიანგარიშეთ:**

დარჩენილი მარაგის ღირებულება: ფიფო, ლიფო და საშუალო შეწონილი მეთოდით.

(გათვლების შედეგები დაამრგვალეთ მეთექვსმეტე სიზუსტით).

**ამოცანა 2.**

შპს X-ს 1 აპრილს ჰქონდა 880 ლარი-ის საწყისი მარაგი (275 ერთეული, თითოეული 3.20 ლარად შეფასებული). აპრილის თვეში მოხდა მარაგის შემდეგი მოძრაობა:

8 აპრილს მიღებულია 600 ერთ თითოეული 3.00 ლარი

15 აპრილს მიღებულია 400 ერთ თითოეული 3.40 ლარი

30 პრილს გაცემულია 925 ერთეული.

**გაიანგარიშეთ:**

1. რა ღირებულება ექნება FIFO მეთოდით გაცემულ მარაგს.
2. რა იქნება საშუალო ფასის მეთოდით გაცემული მარაგის ღირებულება.
3. რა იქნება LIFO მეთოდით გაცემული მარაგის ღირებულება.

(გათვლების შედეგები დაამრგვალეთ მეათედებამდე სიზუსტით)

**ამოცანა 3.**

კომპანია იყენებს Y მასალას. აგვისტოსათვის Y მასალის მოძრაობა გამოსახულია ქვემოთ.

მიღებული მასალა			წარმოებაში გაცემული მასალა	
თარიღი	კბ	კგ-ს ფასი	თარიღი	კბ
12 აგვისტო	4000	5.00 ლ	15 აგვისტო	3900
19 აგვისტო	1200	6.00 ლ	21 აგვისტო	1100
24 აგვისტო	2800	7.50 ლ		

1 აგვისტოს არ არსებობდა Y მასალის მარაგი.

**გაიანგარიშეთ:**

1. FIFO-ს მიხედვით, 31 აგვისტოს რა იქნება არსებული მასალის ღირებულება.
2. საშუალო შეწონილი მეთოდით, 31 აგვისტოს რა იქნება არსებული მასალის ღირებულება.

(გათვლების შედეგები დაამრგვალეთ მეთექვსმეტე სიზუსტით).

**ამოცანა 4.**

31 ივლისს „ალფა“-ს საბოლოო მარაგი იყო 400 ერთეული, ღირებულებით (LIFO-ს მიხედვით) 10 000 ლარი. ივლისის თვეში მარაგის მოძრაობა იყო:

5 ივლისი, შეძენილი იქნა 300 ერთეული 25 ლარად.

10 ივლისი. გაცემულ იქნა 500 ერთეული.

15 ივლისი. შეძენილი იქნა 400 ერთეული, თითოეული 22 ლარად.

20 ივლისი. გაცემულ იქნა 200 ერთეული.

**გაიანგარიშეთ:**

როგორი ღირებულება ქონდა საწყის მარაგს?

**ამოცანა 5.**

კომპანიის პროდუქციაზე მოთხოვნა არის დაახლოებით 600.000 ერთეული წელიწადში. მარაგში ერთი ერთეულის შენახვა ჯდება 3 ლარი წელიწადში. ყოველი შეკვეთა დაკავშირებულია 40 ლარიან ადმინისტრაციულ დანახარჯთან.

**გაიანგარიშეთ:**

რამდენი ერთეული უნდა შეუკვეთოს კომპანიამ ერთ ჯერზე?

**ამოცანა 6.**

მორიგი შეკვეთის ღონე	3.500 ერთეული
საშუალო შეკვეთის ციკლი	5 დღე
მაქსიმალური შეკვეთის ციკლი	7 დღე
მაქსიმალური მოხმარება	500 ერთეული დღეში.
საშუალო მოხმარება	300 ერთეული დღეში.

**გაიანგარიშეთ:**

მინიმალური მარაგის ღონე.

**ამოცანა 7.**

საბურავების საწყობში ინახება პოპულარული საბურავი, რომლისთვისაც მოცემულია შემდეგი ინფორმაცია:

მაქსიმალური გამოყენება	190 საბურავი დღეში
საშუალო გამოყენება	140 საბურავი დღეში
მინიმალური გამოყენება	90 საბურავი დღეში
საჭირო შეკვეთის ციკლი	10 – დან 16 დღემდე
მორიგი შეკვეთის მოცულობა	3.000 საბურავი

**გაიანგარიშეთ:**

1. ზემოთ მოცემულ მონაცემებზე დაყრდნობით, მარაგის რომელ ღონეზე უნდა გაკეთდეს შეკვეთა შევსების შესახებ?
2. ზემოთ მოცემულ მონაცემებზე დაყრდნობით, რა შეიძლება იყოს მარაგის მაქსიმალური ღონე?

**ამოცანა 8.**

საცალო ვაჭრობის საწარმო ვაჭრობს X საქონლით, რომლის შესახებ ასეთი ინფორმაცია არსებობს:

საშუალო გამოყენება	350 ერთ. დღეში
მინიმალური გამოყენება	180 ერთ. დღეში
მაქსიმალური გამოყენება	420 ერთ. დღეში
შეკვეთის ციკლი შევსებისათვის	11 – 15 დღე
მორიგი შეკვეთის მოცულობა	6.500 ერთ.
მორიგი შეკვეთის ღონე	6.300 ერთ.

**გაიანგარიშეთ:**

1. რა იქნება მარაგის მაქსიმალური ღონე
2. რა რაოდენობის იქნება ბუფერული მარაგი

**ამოცანა 9.**

საწარმოს მარაგის დაგეგმვის ინფორმაცია არის ასეთი

$$Q = \sqrt{2 * C_0 * D / C}, ^1 \text{ როცა } C_0=20 \text{ ლარი, } D=24\ 000 \text{ და } Q= 400.$$

**გაიანგარიშეთ:**

რისი ტოლი შეიძლება იყოს  $C_n$  ?

**ამოცანა 10.**

საწარმო შეკვეთის ეკონომიკური მოცულობის (Q) მიხედვით განსაზღვრავს მასალის მორიგი შეკვეთის მოცულობას. შემდგომი მონაცემები შეეხება მარაგის დანახარჯებს:

შესყიდვის ფასი:	15ლ ერთეულზე
ტრანსპორტირების დანახარჯი:	50ლ შეკვეთაზე
შეკვეთის დანახარჯი:	5ლ შეკვეთაზე
შენახვის დანახარჯი:	შესყიდვის ფასის 10%, პლუს
წელიწადში	ერთეულზე 0.20 ლარი.
წლიური მოთხოვნა არის 4000 ერთეული.	

**გაიანგარიშეთ:**

Q - ს მაჩვენებელი.

**ამოცანა 11.**

კომპანია ალფა ცდილობს მარაგის დანახარჯის შემცირებას. ამჟამად, მისი მორიგი შეკვეთის მოცულობა არის 1 000 ერთეული. ცალკეული შეკვეთის დანახარჯი არის 10 ლარი, ხოლო თვის შენახვის დანახარჯი არის 0.1ლ ერთეულზე. კომპანიის ვარაუდით, წლიური მოთხოვნა იქნება 15 000 ერთეული.

**გაიანგარიშეთ:**

შეკვეთის ოპტიმალური მოცულობა

**ამოცანა 12.**

აღფა ძირითადი მასალის მორიგი შეკვეთის ღონის დასადგენად იყენებს შეკვეთის ოპტიმალურ მოცულობას (Q). კომპანიას მიმართა ალტერნატიულმა მიმწოდებელმა, რომელიც მზადაა პროდუქცია გაყიდოს შემდეგი ფასდათმობით:

შეკვეთის მოცულობა	ფასდათმობა
0–199 ერთეული	1%
200–499 ერთეული	3%
500–699 ერთეული	5%
700 ერთეული ან მეტი	7%

არსებობს მარაგის დანახარჯის შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

ერთეულის შენახვის დანახარჯი წელიწადში	= შესყიდვის ფასის 10%
შეკვეთის დანახარჯი	= 2 ლარი შეკვეთაზე
წლიური მოთხოვნა	= 15 000 ერთეულს
შესყიდვის ფასი	= 15 ლარი
არსებული Q	= 200 ერთეულს

**გაიანგარიშეთ:**

- 1) ახალი შეკვეთის ოპტიმალური მოცულობა.
- 2) ახსენით თქვენი მიდგომა ფასდათმობის თითოეული ჯგუფის მიმართ.

(გათვლების შედეგები დაამრგვალეთ მეასედებამდე სიზუსტით).

**ამოცანა 13.** სავაჭრო კომპანია „ზია“ საქმიანობს ორი წელია. კომპანიას შემოაქვს და ყიდის პურის ფქვილს. კომპანიას მოწესრიგებული აქვს ფინანსური აღრიცხვა. მიმდინარე წლისთვის კომპანიამ მიზნად დაისახა მარაგის მართვის საკითხების მოწესრიგება და როგორც სპეციალისტს გთხოვთ კონსულტაციები ამ საკითხებში. მენეჯერი გარწმუნებთ, რომ ფინანსური აღრიცხვის ბუღალტერს გააჩნია ყველა საჭირო ინფორმაცია, რასაც ითვალისწინებს ფინანსური აღრიცხვის მოთხოვნები. მენეჯერთან პირველ შეხვედრაზე გამოიკვეთა ორი საკითხი:

1. თუ თქვენ გექნებათ შესაძლებლობა მოიპოვოთ თქვენთვის საჭირო ყველა ინფორმაცია, მარაგის მართვის კუთხით რისი შეთავაზება შეგიძლიათ მენეჯერისათვის.
2. ჩამოაყალიბეთ იმ ინფორმაციების ჩამონათვალი, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევთ იმისათვის, რომ მარაგის მართვის საკითხებში კვალიფიციური კონსულტაციები გაწიოთ.

**დავალება: მენეჯერი თქვენგან ითხოვს ორივე საკითხზე წერილობით ინფორმაციას.**

გაითვალისწინეთ: თქვენი შეთავაზება უნდა იყოს კონკრეტული პუნქტობრივად ჩამოყალიბებული, ხოლო მოთხოვნილი ინფორმაცია შეთავაზების შესაბამისი და დაწვრილებითი.